გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 39 (3269)
23 თებერვალი.
ხუთშაბათი.
1967 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций
Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
23-ე წელი

სპორტი საბჭოთა არმიაში

დღეს შესრულდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების 49 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით, აას-ის კორესპონდენტმა ბ. ოლშევსკიმ სთხოვა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, გენერალ-მაიორ ზ. ფირსოვს ეამბნა საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში სპორტული და ფიზკულტურული მუშაობის განვითარების შესახებ.

— არმიელთა შორის ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობა, — დაიწყო გენერალ-მაიორმა ზ. ფირსოვმა, — ჩაისახა თითქმის საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნის პირველ თვეებიდანვე. 1918 წლის აპრილში ლენინის უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავდა და დამტკიცდა საყოველთაო სამხედრო სწავლების კანონი. ამ დეკრეტმა დაუდო სათავე წითელარმიელთა და წითელფლოტელთა სამხედრო სწავლებასა და ფიზიკური აღზრდის განვითარებას.

1918 წლის ივლისში ჩამოყალიბდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსები, აგვისტოში კი უკვე შეიქმნა საბჭოთა სამხედრო მთავარი ტანვარჯიშულ-საფარიკაო სკოლა. ეს სკოლა ზრდიდა ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტებს არმიისა და ფლოტისთვის. მარტო პეტროგრადისა და მოსკოვის სამხედრო ოლქებში ჩამოყალიბდა მოთხილამურეთა ოცი ასეული, რომელთაც თავი ისახელეს სამოქალაქო ომის ფრონტზე.

უნდა შევნიშნოთ, რომ რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭო შეიარაღებულ ძალებში ფიზკულტურისა და სპორტის წარმატებით განვითარების მთავარ პირობად მასობრიობას თვლიდა. შემთხვევითი როდია, რომ 1922 წელს გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმადაც სპორტულ-ტანვარჯიშული მეცადინეობა სამხედრო სწავლების უცილობელ ნაწილად იქნა მიჩნეული.

1922 წლის ზამთარში ჩატარდა არმიის პირველი ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. 30 კილომეტრზე რბოლა მოიგო ვ. სერებრიაკოვმა, შემდეგში ცნობილმა საბჭოთა მოთხილამურემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა. 1923 წლის ზაფხულში გაიმართა წითელი არმიის პირველი სპარტაკიადა. ასპარეზობის პროგრამაში შედიოდა მძლეოსნობა, სამხედრო სამჭიდი, ფეხბურთი და ტყვიის სროლა.

● **როგორია საბჭოთა შეიარაღებული ძალების სპორტული სახე დღეს?**

— პირველ ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ მასობრივ-სპორტული მუშაობის ტრადიციულ ყოველწლიურ დათვალიერებაზე, რომელშიც თითქმის მთელი საბჭოთა არმია მონაწილეობს. ეს დათვალიერებები ხელს უწყობს არმიელ სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებას.

მაგალითად, 1965 წელს ყოველი ასი საბჭოთა მეომრიდან 63 ასრულებდა სათანრიგო ნორმატივებს, შარშან კი 73. სხვათა შორის, შარშან საბჭოთა არმიაში მომზადდა 100 ათასზე მეტი პირველთანრიგოსანი, ათასამდე სპორტის ოსტატი და 210 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

ტრადიციად დამკვიდრდა შეიარაღებული ძალების სპარტაკიადები. ეს შეჯიბრება სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. დიდი პოპულარობით სარგებლობს კომპლექსური შეჯიბრებები სპორტის ოლიმპიურ და სამხედრო-გამოყენებით სახეობებში სახმელეთო, საჰაერო თავდაცვის ნაწილთა, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებს შორის. ამას გარდა, შეიარაღებული ძალების სპორტსმენები ყოველწლიურად მონაწილეობენ გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" პრიზის გათამაშებაში.

ახლა არმიელთა შორის დანერგილია სპორტის 50-ზე მეტი სახეობა.

● **რა შეიძლება ითქვას არმიელ და ფლოტის სპორტსმენთა მიღწევებზე?**

— შარშან შეიარაღებული ძალების სპორტსმენებმა სსრ კავშირის ჩემპიონთა 319, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონების კი 90 ოქროს მედალი დაისაკუთრეს. არმიელებმა მოიპოვეს ქვეყნის გუნდური პირველობა 24 სახეობაში.

საბჭოთა სპორტს სახელი გაუთქვეს არმიელმა სპორტსმენებმა: მოკრივეებმა — ო. გრიგორიევმა, ს. სტეპაშკინმა, ვ. აგეევმა, ა. იზოსიმოვმა; ძალოსნებმა — ლ. ჟაბოტინსკიმ, ვ. ბელიაევმა, ვ. კურენცოვმა; მოჭიდავეებმა — ი. შახმურადოვმა, ა. იურკევიჩმა, ვ. ანისიმოვმა, მოცურავეებმა — გ. პროზუმენშჩიკოვამ, გ. კულიკოვმა; ტანმოვარჯიშე ს. დიამიდოვმა, მძლეოსნებმა — ვ. კუდინსკიმ, ი. ლუსისმა, რ. კლიმმა; მოფარიკავეებმა — გ. სვეშნიკოვმა, გ. კრისმა, ი. სისიკინმა, მსროლელებმა — ლ. ლუსტბერგმა, ვ. სტოლიპინმა, ვ. კორნეევმა და სხვებმა.

● **რა ურთიერთობაში არიან საბჭოთა შეიარაღებული ძალების სპორტსმენები უცხოელ ათლეტებთან?**

— ამ ათი წლის წინ შეიქმნა მეგობრული არმიების სპორტული კომიტეტი, რომელიც ახლა ყველა სოციალისტური ქვეყნის არმიელ სპორტსმენთა წარმომადგენლებს აერთიანებს. კომიტეტი ყოველწლიურად მართავს 10–15 ჩემპიონატს სხვადასხვა სახეობაში. საბჭოთა მეომრები მუდამ მონაწილეობენ ამ შეჯიბრებებში და დიდი წარმატებითაც. შარშან, მაგალითად, 63 ოქროს მედლიდან 36 ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს

● **როგორ ემზადებიან საბჭოთა არმიისა და ფლოტის სპორტსმენები სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და მეხიკოს ოლიმპიადისთვის?**

— სსრ კავშირის ხალხთა განვლილი სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში ათასამდე სამხედრო სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ დაისაკუთრეს ოქროს მედლების თითქმის მესამედი. ვფიქრობთ, ჩვენი ათლეტები წლეულს კიდევ უკეთ იასპარეზებენ საიუბილეო სპარტაკიადაში მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა პარტიისა და მთავრობის შარშანდელი დადგენილება ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ. ფიზიკურ მომზადებას საბჭოთა მეომრების სამეცადინო ცხრილში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. მნიშვნელოვნად გაფართოვდა ფიზკულტურისა და სპორტის სამხედრო სპეციალისტთა მომზადება. შენდება ახალი სპორტული ბაზები.

1964 წელს ტოკიოში საბჭოთა ოლიმპიური დელეგაციის 335 წევრიდან 129 არმიელი სპორტსმენი იყო. მათ მოიპოვეს 30 ოქროს, 31 ვერცხლისა და 15 ბრინჯაოს მედალი. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა სპორტსმენთა მიერ მოპოვებული 608 ქულიდან 257 არმიელთა ანგარიშზე მოდიოდა.

არმიელ სპორტსმენთა მზადება მეხიკოს ოლიმპიადისთვის სამ ეშელონად ტარდება. პირველ ეშელონში შედიან სსრ კავშირის ნაკრები გუნდების წევრი-სპორტსმენები, მეორეში — შეიარაღებული ძალების ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრები, მესამეში — სამხედრო ოლქებისა და ფლოტის ნაკრები გუნდების წევრები. მზადება კარგა ხანია დაიწყო და ეს გვაძლევს უფლებას, რომ მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში არმიელ სპორტსმენთა წარმატების იმედი ვიქონიოთ.

ლიდერთა შორის

ფრუნზე, 21 თებერვალი (ტელეტიპით, ჩვენი კორ.). დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა ზამთრის საკავშირო პირველობის მეორე ტური.

გუშინ დონეცკის „სპარტაკმა" მოუგო ადგილობრივ „ბურევესტნიკს" — 3:0, ხოლო ლენინგრადის „ტრუდმა" — დუშანბეს „ტაჯიკისტანს" — 3:0 თბილისის „ბურევესტნიკის" ფრენბურთელები კრასნოდარის „დინამოს" შეხვდნენ. პირველ პარტიაში ჩვენები დაწინაურდნენ — 9:3, შემდეგ ანგარიშმა სხვაობა შემცირდა — 13:9, საბოლოოდ კი ეს პარტია წავაგეთ — 14:16.

მეორე პარტიაში, როცა ანგარიში იყო 14:3 თბილისელთა სასარგებლოდ, მათ წარმატებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. მაგრამ... ჩვენებმა ეს პარტიაც წააგეს — 14:16. იგივე განმეორდა მესამე პარტიაშიც — 13:15. საბოლოო შედეგი — დასანანი დამარცხება.

დღევანდელი შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია: „სპარტაკი" (დონეცკი) — ადკ (ალმა-ათა) 3:1, „ტრუდი" (ლენინგრადი) — „დინამო" (კრასნოდარი) 3:2, „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (ფრუნზე) 3:0.

ორი ტურის შემდეგ კრასნოდარის „დინამომ", თბილისის „ბურევესტნიკმა" და დონეცკის „სპარტაკმა" 9-9 ქულა დააგროვეს.

ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად აღიარეს თბილისელი ლ. რეხვიაშვილი.

„კოლმეურნე"— II ადგილზე

ჩერნოვიცში დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ უკრაინის „კოლგოსპნიკის" მოჭიდავეები. საქართველოს კოლმეურნე-სპორტსმენები II ადგილზე გავიდნენ. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები მოიპოვეს: მსოფლიო ჩემპიონმა რ. რურუამ, გ. ბადაშვილმა და ნ. ძიმისტარიშვილმა.

სტარტები, სტარტები...

საბჭოთა ხელისუფლების საიუბილეო წელს, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის წელს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მებრძოლები მდიდარი და საინტერესო სპორტული კალენდრით შეხვდნენ. ფიქრობენ, რომ საოლქო შეჯიბრებები 34 სახეობაში ჩატარდება. ეს პირველი შემთხვევაა არმიელთა სპორტულ ცხოვრებაში.

სეზონი არმიელებმა ადრე გახსნეს. ჯერ კიდევ იანვრის დამდეგს თავისუფალი სტილის უძლიერესი მოჭიდავეები შეერკინენ ერთმანეთს თბილისის საოლქო სპორტულ კლუბში. ხალიჩაზე გამოვიდნენ სპორტის ოსტატები და პირველთანრიგოსნები. გაჩაღდა მძაფრი, მაღალტექნიკური და ტაქტიკური ოსტატობით გამორჩეული ბრძოლა. ჭიდაობის მოყვარულებმა ჭეშმარიტი სიამოვნება მიიღეს. განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრები ზ. ილურიძის (უმჩატესი წონა), ლ. მურჯიკნელის (ქვემძიმე) და ე. გუბელაძის (მძიმე წონა) მონაწილეობით. სწორედ ამ მოჭიდავეებმა მოიპოვეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჩემპიონების საპატიო წოდება.

საუკეთესო სპორტსმენები შეიყვანეს ახალგაზრდული და მოზარდთა გუნდების შემადგენლობაში, რომლებიც სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობაში გამოდიოდნენ.

მოჭიდავეები მსროლელებმა შეცვალეს. ავჭალის სასროლეთზე ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ ახალგაზრდები. შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა 5 ვარჯიში მცირეკალიბრიანი შაშხანითა და პისტოლეტით სროლაში: 30 გასროლა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე, მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სტანდარტზე (3×20) სროლა, სროლა მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტზე, წოლელა 60 გასროლა. პირველად შესრულდა ვარჯიში პნევმატური იარაღით.

შედეგები საკმაოდ რიგიანი იყო. მაგალითად, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, რიგითმა მებრძოლმა ს. სტრეკალოვმა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ასპარეზობისას 271 ქულა დააგროვა, სპორტის ოსტატმა, რიგითმა მებრძოლმა ე. კარტაშიანმა კი — 573 ქულა პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტზე სროლაში.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამბისტები სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სპორტსმენებში ერთ-ერთი უძლიერესნი არიან. ოლქის პირველობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ისინი დღითიდღე იმაღლებენ ოსტატობას. წლეულს განსაკუთრებით ძლიერმა მეტოქეებმა მოიყარეს თავი საასპარეზოდ. ხალიჩაზე გამოვიდა 10 სპორტის ოსტატი. წარმატებით განვლო ტურნირი ჩვენი ქვეყნის შარშანდელი პირველობის პრიზიორმა, სპორტის ოსტატმა, უმცროსმა სერჟანტმა დ. ნათელაშვილმა (ქვესაშუალო წონა). მან ყველა ბრძოლა მოიგო.

კარგად გამოვიდნენ სპორტის ოსტატები: უმცროსი სერჟანტი ბ. მარიდაშვილი (მჩატე წონა), რიგითი მებრძოლი რ. ქაიხოსროშვილი (საშუალო წონა), უმცროსი სერჟანტი გ. ხაჩიძე (მძიმე წონა). ამ მოჭიდავეებმა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჩემპიონობა დაისაკუთრეს.

ჩატარდა შეჯიბრებები ფარიკაობაში, ცურვაში, წყალში ხტომაში.

ახლა არმიელი სპორტსმენები ემზადებიან ოლქის სპარტაკიადისთვის, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის ეძღვნება. ეს ასპარეზობა თბილისში გაიმართება მაისის თვეში. პროგრამაშია 8 სახეობა: მძლეოსნობა, ძალოსნობა, კრივი, ტყვიის სროლა, ნიჩბოსნობა, ტანვარჯიში, ველო და საავტომობილო სპორტი.

სპორტი არმიელთა საუკეთესო მეგობარია.

ლ. ლარინი.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სპორტსმენები გულდაგულ ემზადებიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის

გუშინ...

თბილისის რესპუბლიკურ ზამთრის საცურაო აუზში დაიწყო წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. პირველად ითამაშეს თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" გუნდებმა. მთელი თამაშის განმავლობაში აშკარა იყო დინამოელთა უპირატესობა და მატჩიც მათი გამარჯვებით დამთავრდა — 8:0.

იუგოსლავიის „იადრანისა" და იტალიის „ლერიჩი-სპორტის" გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვა პირველმა — 5:3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 თებერვალი — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე

არმიელები აბარებენ გამოცდას

იყო დრო, როცა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ფიზკულტურელები თითქმის ყველა სახეობაში ღირსეულ მეტოქეობას უწევდნენ ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებებისა თუ უწყებათა მძლეოსნებს, მსროლელებს, მოტოციკლისტებს, მოცურავეებსა და სხვა სახეობათა წარმომადგენლებს — შესანიშნავ ცვლას აძლევდნენ ჩვენი რესპუბლიკის (ზოგჯერ კი აზერბაიჯანისა და სომხეთის) ნაკრებ გუნდებს. მერე არმიელთა სპორტკლუბის ეს ტრადიცია მთელ რიგ სახეობებში დავიწყებას მიეცა, — სამხედრო საოლქო პირველობები აღარ ეწყობოდა და, მაშასადამე, აღარც სპორტსმენთა ტექნიკური მაჩვენებლები იზრდებოდა.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისი დაიწყო, არმიელთა სპორტკლუბშიც უფრო ამოქმედდნენ. ამ დღეებში გაიმართა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი ტურნირები და სამხედრო ოლქის ჩემპიონატები. ერთმა ასეთმა ასპარეზობამ დელისში ორ დღეს გასტანა. მოტოკროსის ტრასაზე გამოვიდნენ კლუბის საუკეთესო მრბოლელები, პროგრამაც საინტერესო იყო — მაყურებლებმა ნახა კროსი, სადაც ეტლიანი მოტოციკლეტებითაც ასპარეზობდნენ. სპორტსმენებს 1400-მეტრიანი დასერილი წრე 3 ცდით 30-ჯერ უნდა შემოევლოთ.

ეტლიანი მოტოციკლეტებით რბოლაში მწვავე ბრძოლა გააჩაღეს ა. ვავიანმა (ეტლში ა. სტასკევიჩი), ბ. ბარსეგოვმა (ი. მაკლიუკი) და ი. გერასიმოვმა (ს. ილიაევი). ჩემპიონობა ვავიანსა და სტასკევიჩს დარჩათ. 750 კბ სმ სიმძლავრის მოტოციკლეტებით კროსში, რომელიც პირველი დღის ბოლო ასპარეზობა გახლდათ, თავიდანვე დაწინაურდნენ გ. ბეგიაშვილი და თ. შალიბაშვილი. ოლქის ჩემპიონობა მოიპოვა ბეგიაშვილმა. შალიბაშვილი II ადგილს დასჯერდა.

მეორე დღეს კიდევ სამ კლასში გათამაშდა ჩემპიონობა. 125 კბ სმ-ის მანქანებით რბოლა მოიგო სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ა. კლდიაშვილმა, 175-იანებით ყველას ა. ვავიანმა აჯობა, ხოლო 350-იანებით რბოლაში ვ. ტკაჩენკომ 3-დან 2 ცდა მოიგო და პირველობაც დაისაკუთრა.

ო. ივდოშვილი.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ეტლიანი მოტოციკლებით რბოლაში გამარჯვებულნი.

119 : 21 = ?!

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თბილისის გარნიზონის პირველობა მძლეოსნობაში ნამდვილ საბრძოლო ვითარებაში ჩატარდა. საბრძოლო ვითარებაში იმიტომ, რომ ტურნირის შესახებ ცნობილი გახდა შაბათს, კვირას კი სპორტსმენები უკვე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ასკ-ს სტადიონზე ცალკეულ სახეობებში გამარჯვებისთვის. ამ ნაუცბათეობის მიუხედავად, შეჯიბრებას მონაწილეთა სიმცირეს ვერ ვუკიჟინებთ, პირიქით, საასპარეზოდ მოსალოდნელზე მეტ (119) არმიელ ფიზკულტურელს მოუყარეს თავი. მაგრამ, საქმე ის გახლავთ, რომ ამ 119-დან თითქმის ყველა მოუმზადებელი აღმოჩნდა, რის გამოც მხოლოდ 21 ძლივს შესწვდა III თანრიგს. 100, 200, 400, 800 და 10.000 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში კი ვერც ერთმა ვერ შეასრულა სათანრიგო ნორმატივი.

შედარებით დამაკმაყოფილებელი შედეგებით დამთავრდა 1.500 და 3.000 მეტრზე რბენა. ორსავე დისტანციაზე პირველობა წარსულში საქართველოს ერთ-ერთმა უძლიერესმა სტაიერმა, ახლა ზემსახურმა უმცროსმა სერჟანტმა ნ. ევსეევმა მოიგო. მან შესაბამისად 4.36,6 და 9.59,0 აჩვენა. ამ სახეობებში სულ 8 თანრიგოსანი მომზადდა.

100 მეტრზე რბენაში უძლიერესმა ბ. სოლტიანმა ეს დისტანცია 12,5 წამში გაირბინა, ბოლო 24-ე მონაწილემ ა. გუტიმ კი 14,3 წამში (?). 8 სპორტსმენი გამოვიდა 200 მეტრზე რბენის სტარტზე. გაიმარჯვა ისევ სოლტიანმა და ისევ დაბალი შედეგით — 25,7, ორი გამარჯვება მოიპოვა ვ. როდინმა. მან 10.41 სმ აჩვენა ბირთვის კვრაში, 12 მეტოქესთან ჭიდილში. სამხტომში კი 11,56 მ გადახტა და ერთადერთი მოწინააღმდეგეც დაამარცხა. იყო უფრო დაბალი მაჩვენებლებიც. ვ. აფანასიევმა მაგალითად, ბირთვი 7,93 მეტრზე გადააგდო, ზ. ახმედოვმა მხოლოდ 130 სმ სიმაღლე „დაძლია", ი. ზიჩენკოს ბადრომ კი 17 მეტრი ძლივს იფრინა. ყველა ამგვარი შედეგის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დავსძენთ მხოლოდ, რომ ნაჩქარევმა შეჯიბრებამ ნაყოფიც შესაფერი გამოიღო და ისიც დაგვანახა, რომ თბილისის არმიელთა შორის მძლეოსნობის განვითარებას მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ეთმობა. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ საქართველოს ნაკრებში თითო-ოროლა არმიელი სპორტსმენი თუა და მათგანაც ბევრი როდია ამ ორგანიზაციის აღზრდილი. იქნებ ასპარეზობის დაბალ შედეგებზე სულ არაფერი გვეთქვა, რომ სპორტსმენებს ელემენტარული, ოდნავ საიმედო ტექნიკა მაინც გააჩნდეთ, მაგრამ რომ არც ეს იგრძნობა?

არმიელთა სპორტული კლუბის ხელმძღვანელობა მეტი პატივისცემით უნდა ეპყრობოდეს „სპორტის დედოფალს", მეტად უნდა ზრუნავდეს ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენის, საუკეთესო მტყორცნელების, მხტომელების, სპრინტერებისა და სტაიერების აღზრდისთვის.

ვ. ბუკინი.

25 წლის შემდეგ

1941 წლის 22 ივნისი — თბილისის მძლეოსანთა ჩემპიონატის მესამე დღე. იმ საღამოსვე ქართველი სპორტსმენები კიევს აპირებდნენ გამგზავრებას, სადაც უკრაინა — საქართველოს მძლეოსანთა მატჩი უნდა გამართულიყო. ლევან გიორგაძე პირველად გამოდიოდა გუნდის სახელით, თუმცა კარგა ხანია მძლეოსნობაში ვარჯიშობდა და მუშაობდა.

ბოლო წლებში იგი სათხილამურო სპორტმა გაიტაცა და წარმატებითაც ასპარეზობდა ამ სახეობაში. 1939-40 წლებში ლევანი საქართველოს ჩემპიონია ტრამპლინიდან ხტომაში (მასვე ეკუთვნის პირველი რეკორდი — 40 მ 40-მეტრიანი ტრამპლინიდან). 1941 წლის ზამთრის სეზონი ასევე წარმატებით დაამთავრა, ბევრი მეტოქე დაჯაბნა, ჩამოიტოვა შემდგომში ცნობილი მოთხილამურეები ლევან ფანჯაკიძე, მიხეილ გავა და სწრაფდაშვება მოიგო.

სწადდა დიდ ტრამპლინზე ეცადა ძალა სადმე, რუსეთში, მერე კი ასეთი ტრამპლინი ბაკურიანში აეგო, — ლევანი ხომ არქიტექტორია განათლებით. თუმცა, თანდათან უფრო იტაცებდა ფიზკულტურის ინსტიტუტში მუშაობაც.

... ომის პირველსავე დღეს ლევანი სამხედრო კომისარიატში გაჩნდა, მეორე დღეს კი უკვე ნავთლუღში იდგა, ეშელონთან. პერონი გამცილებლებით იყო სავსე. ამ სიჩქარეში ვერც ერთ მეგობარს ვერ გამოემშვიდობა, ვერავინ ნახა წასვლის წინ. იცოდა მხოლოდ, რომ არმიაში იყო მძლეოსნობის კათედრის გამგე ვ. სამსონაძე.

იქვე, გვერდით დედა და მეუღლე იდგნენ. თამარი ფეხმძიმედ იყო.

სამხედრო კომისარიატი მოთხილამურეთა ბატალიონში უპირებდა გაგზავნას, მაგრამ ბედის ირონიამ ლევანს თავი ამოაყოფინა ირანში, სადაც ყალიბდებოდა სამთო-კავალერისტული დივიზია პოლკოვნიკ ა. გაიდუკოვის მეთაურობით.

სამხრეთ კასპიის მცხუნვარე სანაპირო, მთები... მტვრიანი გზები... ირანის ქალაქები კაზვინი, რეშტი, ნოუშეჰრი, ასტარა... აქ, ასტარაში მერიგე კავალერისტი ლ. გიორგაძე მძლეოსანთა პირველობას აწყობს და 100 მეტრზე რბენაში იმარჯვებს...

იმ დღეებს რომ იგონებს, ლევანი ახლა ღიმილით შენიშნავს: ზოგმა იცოდა, რომ მოთხილამურე ვიყავი, ტრამპლინიდან მხტომელი. პატივს მცემდნენ, როგორც სპორტსმენს, მაგრამ ფიქრადაც არავის გაუვლია, რომ იმხანად ყველაზე მეტად ჩემი ცხენისა მეშინოდა. მე, ქალაქის მკვიდრს, ბაკურიანის ტრამპლინი მერჩია უნაგირს. მხოლოდ გვიან, მოსკოვთან გავიგე და დავაფასე საბრძოლო ცხენის ერთგულებაო.

1941 წელს ჰიტლერელებმა მოსკოვს შეუტიეს. მძიმე ბრძოლა გაჩაღდა კლინთან, სოლნეჩნოგორსკთან, ვოლოკოლამსკის მიმართულებით. აქ იბრძოდა ირანიდან ჩამოსული მე-17 სამთო-კავალერისტული დივიზიაც.

მკაცრად შეხვდა სამხრეთის წარგზავნილებს ჩრდილოეთი: ყინვა, თოვლი... აი, სად გამოადგა ლევანს მოთხილამურისა და მთამსვლელის ჩვევები. მებრძოლებს ხომ პირდაპირ თოვლზე, ცხენთან ერთად ეძინათ და მხოლოდ პირუტყვის სხეული ათბობდათ. ესკადრონში ყურადღებით უსმენდნენ ლევანის რჩევას, — ბევრი ხომ პირველად ხედავდა ქარბუქს, ნამქერს, პირველად უხდებოდა თოვლზე ღამისთევა. მძიმე იყო კლინის დაცვა. გერმანული სამხედრო მანქანა სულ ახლოს და ახლოს მიიწევდა მოსკოვისკენ.

პოლკში თარჯიმანი არ ჰყავდათ და გერმანელ ტყვეებთან ლაპარაკი ლევანს უხდებოდა. ერთხელ დაავალეს საბუთები გამოეტანა მტრის ტანკიდან, რომელსაც უკვე ცეცხლი ეკიდა. ნადავლი მნიშვნელოვანი გამოდგა. ლევანი მოსკოვს მიავლინეს და საბუთები გაატანეს.

მოსკოვი ბარიკადებში იყო ჩაფლული. ფანჯრები დაეგმანათ, ქუჩებში ქვიშით დატენილი ტომრები ეწყო. დავალება რომ შეასრულა, ლევანმა „დინამოს" სტადიონს მიაშურა. სტადიონი ცარიელი იყო. წამოსვლა რომ დააპირა, უეცრად თავის უფროს ძმას ბესარიონს შეეჩეხა. იგი ავიასადესანტო ნაწილში იყო.

ამ შეხვედრამ მხნეობა შემატა ლევანს. მას ხომ კარგა ხანი იყო გასახარელი აღარაფერი ენახა: დანგრეული ქალაქები და სოფლები, უსახლკაროდ დარჩენილი უდანაშაულო ხალხი... განსაკუთრებით ბავშვები დაამახსოვრდა: აგვისტოში ხომ თავად გახდა ვაჟის მამა!

ბრძოლებში ნაცად ძმასთან მოულოდნელმა შეხვედრამ, მისმა სიმშვიდემ და გამარჯვების რწმენამ დაამშვიდა. ლევანს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ეს მათი ბოლო შეხვედრა იყო. ბესარიონი 1945 წელს დაიღუპა აღმოსავლეთ პრუსიაში.

დეკემბრის დამდეგს ნაწილი, რომელშიც ლევანი მსახურობდა, ვოლოკამსკის რაიონში ტყეში იყო განლაგებული. ჩვენებმა რამდენჯერმე ცადეს აეღოთ სოფელი ვისოკოვსკოე, მაგრამ სადღაც სოფლის ბოლოს მდებარე საცეცხლე წერტი ყველა იერიშს იგერიებდა. დღისით იქამდე მისვლა თითქმის შეუძლებელი ჩანდა, გერმანელები ძლიერ ცეცხლს ხსნიდნენ. გადაწყდა, სოფელი ღამით აეღოთ. ლევანს დაავალეს მიჰპაროდა საცეცხლე პუნქტს და ჩაეხშო. იგი თოვლზე გაწვა და სოფლისკენ გაფოფხდა. თან, ზუსტად არც კი იცოდა, რა ადგილას იყო ის საცეცხლე წერტი. უეცრად ხმადაბალ ლაპარაკს მოჰკრა ყური. აქ არის! — გაიფიქრა მან. შეიძლებოდა ამ ხმით ევარაუდა და ხელყუმბარა მაშინვე ესროლა, — მას ხომ შორ მანძილზე შეეძლო ხელყუმბარის ტყორცნა, მაგრამ გადაწყვიტა ზუსტად ემოქმედა და ისევ გაფოფხდა წინ. ბოლოსდაბოლოს, ნათლად გაარჩია გერმანული ლაპარაკი: „ნეტავ როდისღა უნდა შეგვცვალონ?" — იკითხა ჩახრენწილმა ხმამ. „ცოტა მოითმინეთ!" — უპასუხა მეორემ... ლევანი ბევრჯერ ჩავარდნილა განსაცდელში ბრძოლის ველზე, მაგრამ მტერთან ასე პირისპირ ჯერ არ დარჩენილა.

თავს ძალა დაატანა და დამშვიდდა. იცოდა, რომ საცეცხლე წერტის ჩახშობა იერიშის სიგნალი უნდა ყოფილიყო. ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა მოიქნია და ცეცხლიც გახსნა. სოფელი ჩვენებმა დაიბრუნეს. ორი დღის შემდეგ დაიწყო წითელი არმიის გენერალური იერიშები...

ერთ-ერთ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა. ვიდრე ჰოსპიტალში გაგზავნიდნენ, ლევანი პოლკის მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა კორკუნეცმა ინახულა და ლეიტენანტის წოდების მინიჭება მიულოცა.

ნოვოსიბირსკის ჰოსპიტლიდან ლევანი თბილისში მოხვდა. 1942 წელს მტერი კავკასიონს დაემუქრა. ამ პერიოდში ლ. გიორგაძე სამხედრო ალპინიზმის და სამთო-სათხილამურო სკოლაში ჩიავლინეს. აქ იგი გაბრიელ და ბექნუ ხერგიანებთან ერთად ამზადებდა ალპინიზმისა და სამთო-სათხილამურო საქმის ინსტრუქტორებს წითელი არმიისთვის. იმხანად მათთან მუშაობდა სპორტის ოსტატი, მთამსვლელი ქ. ონიანიც (იგი ა. ჯაფარიძესთან ერთად დაიღუპა).

... ომი დასასრულს უახლოვდებოდა. 1944 წელს ლევანმა საქართველოს პირველობაში მიიღო მონაწილეობა და II ადგილი დაიკავა სათხილამურო ორჭიდში.

ეს იყო მისი ბოლო გამოსვლა სარბიელზე. ომი დამთავრდა და ლ. გიორგაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუბრუნდა.

მოსკოვთან ფაშისტური არმიის განადგურების იუბილეს დღეებში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი სამხედრო კომისარიატში დაიბარეს და 25 წლის შემდეგ გადასცეს მედალი „მამაცობისთვის". ეს ჯილდო ლევანმა მოსკოვთან ბრძოლაში მოიპოვა.

ვ. იაშვილი.

იუბილეს აღსანიშნავად

თბილისში დამთავრდა ქალთა და მიმდინარეობს ვაჟთა გუნდების ტურნირი ფრენბურთში. ასპარეზობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 46 წლისთავს ეძღვნება. ქალთა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს თბილისის განათლების განყოფილების I გუნდის ფრენბურთელებმა. მათ ხუთივე შეხვედრა მოიგეს ერთნაირი შედეგით — 3:0. II ადგილზე გავიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლები, ხოლო III — პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენები.

გუშინწინ დაიწყო კალათბურთელთა ტურნირი, რომელიც აგრეთვე საქართველოს ზამთრის პირველობისთვის შესარჩევი ასპარეზობაა.

შეჯიბრების პირველ დღეს დინამოელმა ქალებმა მოუგეს „ლოკომოტივს" — 47:30, თბილისის განათლების განყოფილების გოგონებმა კი — მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის წარმომადგენლებს — 48:12. „შრომითი რეზერვების" პირველმა კოლექტივმა დაამარცხა „დინამოს" გუნდი — 36:27, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოუგეს პედაგოგიური სასწავლებლის სპორტსმენებს — 60:20, ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებმა — „შრომითი რეზერვების" II გუნდს — 40:26.

საინტერესოდ ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა ასპარეზობა. ერთმანეთს შეხვდნენ „თბილგვირაბმშენის" კოლექტივი და უნივერსიტეტის II გუნდი. პირველი ტაიმი დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა და დამთავრდა ფრედ — 26:26. შესვენების შემდეგ მეტრომშენებლებმა უკეთ ითამაშეს და მოიგეს კიდეც საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით — 65:48. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ტ. სუხანსკას და ჟ. ვართანიანს, რომლებმაც მეორე ტაიმში 12-12 ქულა შეიტანეს გუნდში.

ლ. თუშიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინსვლის საწინდარი

თუ გსურთ კარგად წარმართულ ფიზკულტურულ საქმიანობას გაეცნოთ, თბილისის 27-ე პროფტექსასწავლებელი მოინახულეთ. ჯერ შესასვლელშივე გამართული სტენდი დაათვალიერეთ, სპორტულ ბრძოლებში მოპოვებული სიგელები, ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობის ამსახველი მასალა, მოწინავე სპორტსმენების: ფეხბურთელ გ. შალუტაშვილის, მძლეოსან მ. ძებისაშვილის, ტანმოვარჯიშე გ. შირიმყოვასა და სხვათა სურათები ნახეთ. მერე სასწავლებლის სპორტმოედნებზე წადით, დარბაზში შეიხედეთ, თუ გსურთ, დაესწარით კიდეც სექციების მეცადინეობას ან ფიზკულტურის გაკვეთილს, რომელსაც ძალიან საინტერესოდ, მიმზიდველად ატარებს ფიზაღზრდის ხელმძღვანელი ხ. კრავჩენკო...

თუმცა ჯობს თავად კრავჩენკოს მივცეთ სიტყვა:

— სასწავლებელში სულ 325 აღსაზრდელია და თითქმის ყველა მათგანი ფიზკულტურულ საქმიანობაშია ჩაბმული. ყოველ დღეს დილის ფიზვარჯიშით ვიწყებთ, მერე ფიზკულტურის გაკვეთილები, სექციების მეცადინეობა...

ტანვარჯიშის სექციაში, რომელსაც ხ. კრავჩენკო უძღვება, 21 მოსწავლეა გაერთიანებული. ამ სექციას არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს — ამას წინათ გამართულ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებაში ცხრამეტმა მონაწილემ მოზრდილთა III და ჭაბუკთა თანრიგის ნორმატივები შეასრულა. განსაკუთრებით საიმედონი „შრომითი რეზერვების“ ცენტრალურ სექციაში იწრთობიან. სასწავლებლის სიამაყეა ზ. კუტუევა, რომელმაც აქ შეასრულა I თანრიგი, ამჟამად კი თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკაში მუშაობს და „შრომითი რეზერვების“ სექციაში ოსტატობის კანდიდატობისთვის ემზადება.

კარგად მუშაობენ სხვა სახეობათა (მძლეოსნობა, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი...) სექციებიც, რომლებსაც თავად სასწავლებლის მოსწავლეები და მასწავლებლები უძღვებიან, მაგალითად, მაგიდის ჩოგბურთელებს მე-8 ჯგუფის მოსწავლე ზ. თავაძე ავარჯიშებს, ჭადრაკისა და შაშის სექციას დირექტორის მოადგილე გ. რუსია ხელმძღვანელობს. სწორედ ამ სექციებმა წამოიწყეს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შიდასაკოლექტივო შეჯიბრება.

შარშან სასწავლებელში საგაზაფხულო სპარტაკიადა ჩატარდა. შეჯიბრება მასობრიობით გამოირჩეოდა. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ყველა შეხვედრას ადგილობრივი საზოგადოებრივი მსაჯები სჯიდნენ და საკმაოდ კვალიფიციურადაც.

— ჩვენი კოლექტივის წარმატების საწინდარი ის გახლავთ, — განაგრძო კრავჩენკომ. — რომ ვცდილობთ ყოველ მოსწავლეს შევაყვაროთ ფიზკულტურა და სპორტი. ეს მარტო ჯანმრთელობის განმტკიცებას როდი უწყობს ხელს, მუშათა მომავალ კადრებს შრომითი მაჩვენებლების ზრდაშიც ეხმარება.

კრავჩენკოს ნათქვამს ჩვენ დავუმატებთ, რომ შარშან ამ სასწავლებელში 300-ზე მეტი თანრიგოსანი, მათ I საფეხურის 110, სსრ კავშირის ტურისტის 80 ნიშნოსანი და 108 საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრი მომზადდა.

— როგორია თქვენი წლევანდელი გეგმები? — ვკითხეთ გამოშვიდობებისას ფიზაღზრდის ხელმძღვანელს.

— ოქტომბრის იუბილეს ღირსეული შეხვედრა უნდა. სასწავლებლის მთელი კოლექტივი ამ თარიღის აღსანიშნავად ემზადება და ვალში არც ჩვენ, ფიზკულტურელები დავრჩებით.

ვ. ბუკია.

ამ სასწავლებლის ბევრი მოსწავლე შესანიშნავად უთავსებს ერთიმეორეს სწავლას, შრომასა და სპორტს. ერთი მათგანია მე-3 ჯგუფის ფიზორგი ლ. მიტკოვეცი, რომელიც ერთხანს ნიჩბოსნობაში ვარჯიშობდა, მერე კი ფრენბურთი ირჩია და მეორეთანრიგოსანიც გახდა. ამ სურათზე სწორედ მიტკოვეცია აღბეჭდილი შრომისას.

ფოტო ავტორისა.

წერილი რედაქციას

ნდობას გავამართლებ

გაზეთ „ლელოს“ 5 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „რას გვეტყვის ლ. ჩუბუნოვა?!“, რომელშიც მკაცრად ვიყავი გაკრიტიკებული საწვრთნელი რეჟიმის დარღვევისთვის. დანაშაულს ვაღიარებ და პირობას ვდებ, რომ არც საწვრთნელი ვარჯიშის გაცდენას და არც დისციპლინის დარღვევის რაიმე სხვა შემთხვევას ჩემგან ადგილი აღარ ექნება.

შეგნებული მაქვს, თუ რაოდენ რთული ამოცანის წინაშე ვიქნებით სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში ჩვენ — ველოსიპედისტი ქალები. ამიტომაც ძალ-ღონის დაუზოგავად ვიბრძოლებ, რათა გავამართლო რესპუბლიკის ნაკრების წევრის საპატიო სახელი.

ლ. ჩუბუნოვა.

ლეონიდ ჟაბოტინსკი — თავის თავზე, ამხანაგებზე, ძალოსნობაზე

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. ჟაბოტინსკიმ ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატში მესამედ მოიპოვა პლანეტის ყველაზე ღონიერი ადამიანის სახელი. ზაპოროჟიელი გოლიათი ჯერ მხოლოდ 28 წლისაა და მისგან პაოცარი რეკორდებია მოსალოდნელი. ახალი ამბების სააგენტოს სპორტულმა მიმომხილველმა დ. ივანოვმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა ლ. ჟაბოტინსკის. აი, ეს ინტერვიუ:

● **თუ შეიძლება, გვიამბეთ, ვისი „წყალობით“ ხართ ასე ღონიერი?**

— სპორტში და საერთოდ, ცხოვრებაში, ბედი მწყალობს. ბევრ კარგ ადამიანს შევხვედრივარ. 15 წლის ვიყავი, როცა მ. სვეტლიჩნისთან, ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის ძალოსანთა მწვრთნელთან დავიწყე მეცადინეობა. ამ პოეტური სულის პედაგოგმა, როგორც ჩანს, ჩემში გააღვივა თანდაყოლილი სპორტული აზარტი და მასწავლა შტანგის აწევა. მე შემიძლია დავასახელო სხვა გულისხმიერი ადამიანებიც, რომლებსაც გული შესტკიოდათ ჩემი სპორტული ზრდისთვის. მაგალითად, დიდად ზრუნავდა ჩემთვის ჩვენი ქვეყნის ძალოსნობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის გმირი მ. გრომოვი. სხვათა შორის, იგი სსრ კავშირის პირველი ჩემპიონია მძიმე წონაში.

● **მაგრამ, რა როლი ითამაშეს ბუნებრივმა მონაცემებმა?**

— ვფიქრობ, ათლეტიზმი მემკვიდრეობითი მოვლენა არაა. ჩემი მშობლები აღნაგობით არ გამოირჩეოდნენ. მე 160 კილოგრამს ვიწონი, ხოლო მამაჩემი თითქმის ორჯერ ნაკლებს. მამა მარწმუნებს, რომ ბაბუას თუ ბაბუის მამას ვგავარ. მაგრამ ვიდრე ძალოსნობაში დავიწყებდი ვარჯიშს, მეც ხომ არაფრით გამოვირჩეოდი? მხოლოდ 50 კილოგრამს ვწევდი. 10 წელი დამჭირდა, რომ პირველი მსოფლიო რეკორდი დამემყარებინა.

● **ოლიმპიურ, 1964 წელს, როცა თქვენ და ი. ვლასოვი მეტოქეობდით, ძალოსნურ სპორტში წამოიჭრა საკითხი 600-კილოგრამიანი ზღვარის გადალახვისა. მაგრამ, აი, ორ წელზე მეტი გავიდა, 600-კილოგრამი კი არ ჩანს. ვლასოვის რეკორდი სამჭიდში — 580 კგ — ხელუხლებელია. შეიძლება 600 კილოგრამი უსაფუძვლო ფანტაზიის ნაყოფია?**

— არა. დარწმუნებული ვარ, გამოჩნდებიან მძიმეწონოსნები, რომლებიც მხოლოდ ამ ზღვარს როდი გადალახავენ. ეს დროის საქმეა.

● **სპორტის მოყვარულებს თქვენი და ვლასოვის იმედი აქვთ. როგორ აფასებთ თქვენს შესაძლებლობებს?**

— ჩემზე არაფერს ვიტყვი. შევნიშნავ მხოლოდ, რომ წლეულს შევეცდები გადავაჭარბო საკუთარ ოლიმპიურ რეკორდს — 572,5 კილოგრამს. ვლასოვი ოლიმპიადის შემდეგ აღარ გამოსულა ფიცარნაგზე. მე ვიცი, რომ იგი ინტენსიურ წვრთნას შეუდგა და თუ ყველაფერი კარგად იქნა, ფანტასტიკური შედეგებითაც გაგვახარებს. ბედმა გამიღიმა, რომ ასეთი ჭკვიანი და ვაჟკაცური მეტოქე მყავს. გულწრფელად ვამბობ, თუ რაიმეს მივაღწიე სპორტში, მივაღწიე ამ უდიდეს ათლეტთან მეტოქეობის წყალობით.

● **რა აზრისა ხართ ახალგაზრდა ამერიკელ გოლიათ რ. ბედნარსკიზე, რომელმაც ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიგო?**

— იგი უჩვეულოდ ნიჭიერია. 21 წლის ბედნარსკიმ 537,5 კგ დააგროვა. ამას ვლასოვმა და მე მხოლოდ 25 წლის ასაკში მივაღწიეთ. ბედნარსკი პროპორციული აღნაგობისაა, კარგად ფლობს შტანგის აწევის ტექნიკას. თუ წონაში მოიმატა (მან კი უსათუოდ უნდა მოიმატოს) მოსალოდნელია, რომ ამერიკელი ძალოსანი უკვე წლეულს დაძლევს 550 კილოგრამს. მაგრამ მარტო ტალანტი, რა თქმა უნდა, არ კმარა. მიზნის მისაღწევად საჭიროა შესაშური შეუპოვრობა, არ ვიცი, ეყოფა კი საამისოდ ძალა ბედნარსკის? ამერიკელი ათლეტები, ჩვეულებრივ, ადრე მწიფდებიან და ასევე ადრე ტოვებენ ფიცარნაგს.

● **რა შეჯიბრებებში აპირებთ წლეულს გამოსვლას?**

— მინდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში მივიღო მონაწილეობა, შევეცდები მოვიპოვო ტოკიოს მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლის უფლება. ეს ჩემპიონატი ოქტომბერში გაიმართება.

● **ბერლინის ჩემპიონატში საბჭოთა ათლეტებმა ოქროს 5 მედალი მოიპოვეს და რამდენიმე რეკორდიც დაამყარეს. რით ახსნით ასეთ წარმატებას?**

— ჩვენი კოლექტივის სათავეში დგას უახლოესი წარსულის სახელგანთქმული ათლეტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ვორობიოვი. მისგან ბევრს ისწავლი. ბევრს გვასწავლის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. მედვედევიც. იგი პირველი საბჭოთა მსოფლიო ჩემპიონია მძიმე წონაში. ეს მწვრთნელები შემოქმედებითად მუშაობენ და საწვრთნელ პროცესში მეცნიერებას აქსოვენ. ადრე ასე როდი იყო.

● **რისთვის გიყვართ ძალოსნობა?**

— მე მომწონს სპორტული ბრძოლის უკიდეგანო დაძაბულობა. ძალოსნობაში ეს განსაკუთრებით ნათლად ვლინდება. ყოველი ჩვენგანი მიდის შტანგასთან — ვინც ყველაზე მეტს აწევს, ჩემპიონიც ის არის.

● **სპორტის რომელ სახეობებს იყენებთ მომზადებისთვის?**

— კალათბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, ველოსიპედს, ცურვას და მძლეოსნობის ზოგიერთ სახეობას. ჩვენს გუნდში ყველა ათლეტი მრავალმხრივი სპორტსმენია.

● **ცნობილი მძიმეწონოსნების მადის გამო ანეკდოტებს ჰყვებიან, ამბობენ, ამერიკელი პ. ანდერსონი დღეში ათ ლიტრამდე რძეს სვამდაო. როგორია თქვენი რაციონი, საყვარელი კერძები?**

— პირველი — უკრაინული ბორში, სასურველია შინ, ცოლის ხელით შემზადებული, ჩემი მეუღლე რაია პედაგოგია, მაგრამ არც კულინარულ ხელოვნებაში დაუდებს ტოლს ვინმეს. მეორე თავ კერძად, როგორც ყველა ძალოსანს, ხორცი მიყვარს, მესამედ — ხილი ან კომპოტი. მიყვარს რძე, მაგრამ დღეში ლიტრზე მეტს არ ვსვამ, ჩემს მენიუში შედის ხაჭო, არაჟანი, ცოცხალი თევზი, კვერცხი. შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ მე მართლაც არ ვჭამ ბევრს. ამხანაგები დამემოწმებიან, რომ სახადილო მაგიდის ირგვლივ შეჯიბრებაში მე ვაგებ არა მარტო მძიმეწონოსნებთან.

● **თქვენი ცხოვრებისეული გეგმები?**

— შევედი კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტის ძალოსნობის კათედრის ასპირანტურაში. ვიმუშავებ საკანდიდატო დისერტაციაზე.

● **ყველა ჭაბუკს სურს ღონიერი იყოს. რას ურჩევდით მათ?**

— ყოველი ხელმისაწვდომი საშუალებით გაიკაჟონ ჯანმრთელობა. ხშირად ისრიალონ თხილამურებით, ციგურებით. იცურაონ, ირბინონ, ივარჯიშონ. სწორედ სიჭაბუკეში უნდა ჩაყარო მყარი საძირკველი, რომ შემდეგ კარგი დასაყრდენი გქონდეს. ასეთი საძირკველია ჯანმრთელობა, რომელსაც მხოლოდ ძალოსნობით ვერ მოიპოვებ. მთავარია ყოველმხრივი ფიზიკური მომზადება. ამას წლები მიაქვს. ჩვენი ათლეტების ნიჭიერება უფრო გვიან მჟღავნდება, ვიდრე უცხოელებისა, მაგრამ, სამაგიეროდ, სრულად იხსნება.

● **ვის შეუძლია ათლეტი გახდეს?**

— ყოველ, როგორც ექიმები ამბობენ, პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანს. ჰანტელებითა და შტანგით ვარჯიშს მე ყველას გამოვუწერდი.

მასპინძელთა უპირატესობით

რუსთაველი ნორჩი სპორტსმენები მონდომებით ემზადებიან მოსწავლეთა მომავალი რესპუბლიკური საიუბილეო სპარტაკიადისთვის, აწყობენ ამხანაგურ მატჩებს სხვადასხვა ქალაქის თანატოლებთან.

გასულ კვირას მათ გორელი მოსწავლეები მიიწვიეს სტუმრად და ფრენბურთსა და ფეხბურთში გაეჯიბრნენ. ფრენბურთელ გოგონათა ასპარეზობაში გამარჯვება მასპინძლებს ხვდათ — 2:0 (15:10, 15:10). საინტერესო გამოდგა ჭაბუკთა გუნდების შეხვედრა. რუსთაველებმა პირველი პარტია იოლად მოიგეს (15:5), მეორე პარტია კი წააგეს — 11:15. მესამე, გადამწყვეტ პარტიაში დაწინაურდნენ გორელი მოსწავლეები, მაგრამ მასპინძლებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი გამარჯვებასაც მიაღწიეს — 15:10.

ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის ბედი მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც შესვენებამდე გაიტანა გორელთა კარში ო. გაბრიჭიძემ.

რ. გაბრიჭიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

* * *

სურათებზე: ასპარეზობის მომენტები.

ფოტო ავტორისა.

ფეხბურთი

„სოვეტსკი სპორტის" ტურნირი

მწვავე ბრძოლა და... ფრე

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 22 თებერვალი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — ასკ (ოდესა) 1:1 (1:0).

„ტორპედო": ანდღულაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე (ებრალიძე), სიამაშვილი (ჩხაიძე), ძოძუაშვილი, წვერავა, ერქომაიშვილი, ასიტაშვილი, ხაჟალია, ვეკუა (ქითანავა), ხერხაძე (ჭოლაძე).

ასკ: გრიშკოვი, დუბინსკი, კოლბასიუკი, ნაიდა, ზახაროვი, აპუხტინი, გორბაჩი, პრიგორკო, პეტროვი, სარიგინი, ნემიროვსკი (პროსიკოვი).

მსაჯი პ. გავრილიადი (სოჭი).

ქუთაისელ ფეხბურთელებს უკვე პირველივე წუთებზე ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ ხაჟალიამ ვერ გამოიყენა ეს ხელსაყრელი მომენტი. და მაინც, ერქომაიშვილმა მიიღო ვეკუას გადაცემა და შეუჩერებლივ გაგზავნა ბურთი მეტოქის კარის ბადეში — 1:0.

ოდესელებმა გარდატეხის შეტანა თამაშში შეძლეს შესვენების შემდეგ. ისინი ენერგიულად მოქმედებდნენ, ხშირად უტევდნენ და 59-ე წუთზე პეტროვმა შორიდან მოულოდნელი დარტყმით შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1.

მატჩის დასასრულს „ტორპედოს" აშკარა ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ამაოდ. მატჩი დამთავრდა ფრედ.

ზ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

◆

გუშინ...

ბათუმში ოდესის „ჩერნომორეცმა". დაამარცხა ვილნიუსის „ჟალგირისი" — 3:0. გოლები გაიტანეს: ბოსიმ და ზვენიგოროდსკიმ (2).

ტაშკენტში დონეცკის „შახტიორმა" გაიმარჯვა ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელთან" თამაშში — 2:1. ბურთების ავტორები არიან: დონეცკელთაგან — გლადიანესი და მოისეენკო, მასპინძელთაგან — მალინოვსკი.

დუშანბეში „კრილია სოვეტოვმა" მოუგო ყარაგანდის „შახტიორს" — 2:1. კუიბიშეველთაგან გოლები გაიტანეს სტარკოვმა და სახაროვმა. ერთი ბურთი გაქვითა ყარაგანდელმა კოსტენკომ.

ვეტერანის სახელობისა

◆

ახალგაზრდებს— პერსპექტივები

რუსთავი. „მეტალურგის" სტადიონი. 22 თებერვალი.

„მაღაროელი" (ჭიათურა) — „დინამო" (სოხუმი) 2:0 (1:0).

„მაღაროელი": ჩუხუა, გაფრინდაშვილი, ბუაძე, ვართანოვი, ლობანოვი, ცხადაძე, ჩარკვიანი, მაისურაძე, გიორგობიანი, ეგოროვი, აუშტროვი.

„დინამო": ვეკუა, დარახველიძე, ვანაჩა, პეტრიაშვილი, გოგიშვილი, უჟუნიანი, ჰკუასელი, უნანოვი, წოწორია (გაბისკირია), გადელია, ეზუხბაია.

მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

ფინალური მატჩი სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის სახელობის თასზე ყოველმხრივ შეესაბამებოდა მის „რანგს". ორივე გუნდმა აჩვენა ამ ადრეული პერიოდისთვის კარგი საერთო მომზადება, სწრაფი ტემპი, ტაქტიკურად გამართული თამაში.

სოხუმელთა მოფიქრებულ, დაგეგმილ იერიშებს ჭიათურელმა ფეხბურთელებმა მწვავე კონტრიერიშები დაუპირისპირეს. მათ წინ ჰყავდათ წაწეული ორი აგრესიული ცენტრალური თავდამსხმელი გიორგობიანი და ეგოროვი, რომელთაც აქტიური მოქმედებით მხარს უმართავდა აუშტროვი. „მაღაროელი" თამაშობდა მწვავე კონტრშეტევებით, რომელთაგან, ერთ-ერთი გოლით დაამთავრა ეგოროვმა — 1:0.

მეორე ტაიმი დინამოელებმა დაიწყეს ხანგრძლივი და ძალზე სახიფათო იერიშით, მაგრამ მთელი რიგი ხელსაყრელი მომენტები მათ ვერ გამოიყენეს. დროდადრო ჭიათურელთა კართან მეტოქის მცველებიც გადიოდნენ და კარის აღებაც კი შეეძლოთ...

მაღაროელებმა გაუძლეს ამ დაწოლას, იბრძოლეს ორგანიზებულად, კარგი ურთიერთმოქმედებით და ისევე, როგორც პირველ ტაიმში, ეფექტურად გამოიყენეს ერთ-ერთი საპასუხო იერიში. 75-ე წუთზე კომბინაცია ეგოროვი — ჩარკვიანი ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა — 2:0.

მატჩი მოიგეს ჭიათურელმა ფეხბურთელებმა და იმედი უნდა ვიქონიოთ, „ბ" კლასის ეს ახალგაზრდა კოლექტივი წლევანდელ სეზონშიც ასევე მონდომებით, ენერგიულად იბრძოლებს დიდ სარბიელზე. ახალგაზრდულ კოლექტივს საამისო მონაცემები აქვს.

მატჩის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ჯინჭარაძემ გამარჯვებულ გუნდს (მწვრთნელები ა. ორლოვი, ზ. ბარათაშვილი) გადასცა ქართული ფეხბურთის ვეტერანის შ. შავგულიძის სახელობის საპატიო პრიზი.

რ. ქორიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

უკანასკნელი საათი!

◆ **რომი**, 22 თებერვალი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა დღეს აქ დაამარცხა ადგილობრივი „რომა" — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი მე-15 წუთზე გაიტანა ვორონინმა.

◆ **ტოკიო, 22 თებერვალი.** აქ სსრ კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა იაპონიის ეროვნული გუნდის ფეხბურთელები.

◆ **ბერლინი**, 22 თებერვალი. აქ გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსანთა ზამთრის პირველობა. შესანიშნავად იასპარეზა ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის ჩემპიონმა კარინ ბალცერმა. ამ ნიჭიერმა სპორტსმენმა ქალმა გაიმეორა თავისივე მსოფლიო მიღწევა — 55 მეტრზე თარჯრბენში აჩვენა 7,5 წამი. 19 წლის ჰანს პეტერ გისმა ბირთვი კრა 17,89 მეტრზე.

◆ **ტუნისი, 22 თებერვალი.** ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა მოჰამედ გამუდიმ გაიმარჯვა ტუნისის გარეუბანში გამართულ „დედაქალაქთა ტრადიციულ კროსში". 10 კმ მან გაირბინა 24 წუთსა და 38 წამში. 11 დედაქალაქის მორბენალთა ამ საინტერესო შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავა პარიზელმა გი ტექსერომ — 24.41,0.

კალათბურთი

ნაკრები წვრთნას შეუდგა

ტანიუგის სააგენტოს ცნობით, იუგოსლავიის კალათბურთელ ქალთა ნაკრები გუნდის მწვრთნელად დაინიშნა ლ. დემშარი. ამ დღეებში მწვრთნელმა დაასახელა 16 კალათბურთელის გვარი, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას. ესენი არიან: რადოვანოვიჩი, კალენიჩი, ჩურიჩი, მეგლაი, ბულიანი, ჯოკოვიჩი, სელიმოვიჩი, მიჩა, ბაშიჩი, გერიჩი, ზორინი, მილეტიჩი, კომაცი, ფეგერი, ბრემეცი, პრეზელი.

ნაკრები უკვე შეუდგა გენერალურ სამზადისს. მოკლე ხანში გუნდი საწვრთნელ ბანაკში გაემგზავრება, შემდეგ კი რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს უცხოეთის გუნდებთან. იუგოსლავიის კალათბურთის ფედერაციის განცხადებით, მსოფლიო ჩემპიონატამდე ნაკრები ითამაშებს ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირში.

სსრ კავშირი— ევროპაში პირველი

ჟაკ ფერანი პოპულარული ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის" მთავარი რედაქტორის მოადგილეა. ეს ცნობილი სპეციალისტი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ საზღვარგარეთაც. ფერანი „ეკიპში" ევროპული სპორტის კლასიფიკაციას მეთაურობს და სისტემატურად, ყოველი წლის ბოლოს, აჯამებს ამა თუ იმ ევროპული ქვეყნის მაჩვენებლებს, გამოჰყავს საერთო ჯამი და ადგილები.

ამას წინათ გამოქვეყნდა შედეგები მისეული კლასიფიკაციისა, რომელსაც უწოდებენ „ევროპა-66". საინტერესოა, რომ ფერანი ევროპის ქვეყნებს სპორტული მაჩვენებლების მიხედვით ორ ნაწილად ჰყოფს: უმაღლეს ლიგაში მას შეჰყავს ის ქვეყნები, სადაც ოლიმპიური სახეობებია კულტივირებული. დაბალ ლიგაში ფერანი ნაკლებად პოპულარული სახეობებით გატაცებულ ქვეყნებს აერთიანებს. უმაღლესი ლიგის მაჩვენებლები ათქულიანი სისტემით ფასდება, დაბალი ლიგის კი — ხუთქულიანით.

აი, როგორია ფერანის კლასიფიკაციის საბოლოო სახე (ფრჩხილებში აღნიშნულია ქულათა შარშანდელი რაოდენობა):

1. სსრ კავშირი—167,5 (167,5).
2. გფრ — 109,5 (94,5).
3. საფრანგეთი — 105,5 (93).
4. გდრ — 77,5 (70,5).
5. იტალია — 72,5 (75,5).
6. ჩეხოსლოვაკია—70,5 (65,5).
7. ინგლისი — 65,5 (82,5).
8. პოლონეთი — 60,5 (67).
9. უნგრეთი — 51,5 (64).
10. რუმინეთი — 49,5 (48).
11. შვეცია — 43 (21).
12. ჰოლანდია — 38 (36).
13. იუგოსლავია — 33,5 (32,5).
14. ესპანეთი — 23,5 (31).
15. ავსტრია — 20,5 (21).
16. ბელგია — 20 (16).
17. ბულგარეთი — 18,5 (34,5).
18. ფინეთი — 18 (26).
19. დანია — 14 (12,5).
20. ნორვეგია — 13 (10).
21. შვეიცარია — 10,5 (14).
22. თურქეთი — 9 (8).
23. პორტუგალია — 8,5 (8).
24. ეირე — 3 (3).
25. საბერძნეთი — 2 (3,5).

კვიპროსი, ისლანდია, ალბანეთი, ლუქსემბურგი და მალტა ფერანის კლასიფიკაციაში შეუფასებელი არიან.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სსრ კავშირს ევროპაში 1 ადგილი უჭირავს. ჩვენი ქვეყანა შარშანდელი შედეგებით უძლიერესი გამოდგა მძლეოსნობაში, კალათბურთში, კრივში, ფარიკაობაში, ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, ძიუ-დოში, ორივე სტილის ჭიდაობაში, ცურვაში, შაიბიან ჰოკეიში, ციგურებით რბენაში, მაგიდის ჩოგბურთში, სროლასა და წყალბურთში.

გდრ 1 ადგილზეა აკადემიურ ნიჩბოსნობაში; გფრ — ჩოგბურთში, ცხენოსნობაში, ბალახის ჰოკეიში; ავსტრია — ციგურებით ფიგურულ სრიალში; დანია — აფროსნობაში; საფრანგეთი — სათხილამურო სპორტში; ინგლისი — ფეხბურთში, რეგბიში, გოლფში; უნგრეთი — თანამედროვე ხუთჭიდში; იტალია — ველოსპორტში, მშვილდოსნობაში; რუმინეთი — ხელბურთში; ჩეხოსლოვაკია — ფრენბურთში.

ჩერნიგოვში გაიხსნა „დინამოს" ახალი, მთელს ოლქში უდიდესი სპორტული დარბაზი. აქ ივარჯიშებენ ჩოგბურთელები, მოფარიკავეები, ტანმოვარჯიშეები. დარბაზს აქვს კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებიც.

სურათზე: ახალი სპორტდარბაზი.

ფოტო ი. ოლეინიკისა (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტული [illegible]

წყალბურთი. რესპუბლიკური ზამთრის საცურაო აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ). **საერთაშორისო ტურნირი.** მონაწილეობენ: **„ლერიჩი-სპორტი"** (იტალია), **„იადრანი"** (იუგოსლავია), **„დინამო"** (თბილისი), **„ლოკომოტივი"** (თბილისი). დღეს: **„ლოკომოტივი" — „იადრანი", „დინამო" — „ლერიჩი-სპორტი".** ხვალ: **„ლოკომოტივი" — „ლერიჩი-სპორტი", „დინამო" — „იადრანი".** მატჩების დასაწყისი 18 ს და 30 წ.

მხატვრული ტანვარჯიში. „განთიადის" სპორტდარბაზი (პლეხანოვის პრ. № 95). **23-24 თებერვალი. ახალგაზრდა სპორტსმენთა რესპუბლიკური პირადგუნდური პირველობა.** დასაწყისი 23-ში — 17 ს., 24-ში— 13 ს.

ტყვიის სროლა. ავჭალის სასროლეთი. **23 თებერვალი-1 მარტი. რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები კოლექტივების პირად-გუნდური შეჯიბრება.** დასაწყისი 10 ს.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48) — დღეს და ხვალ **თბილისის ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატები.** დასაწყისი 17 ს.

მძლეოსნობა. „დინამოს" სტადიონი. **25-26 თებერვალი. მოსწავლეთა რესპუბლიკური პირადი პირველობა.** დასაწყისი 14 ს.

24-25-26 თებერვალს

თბილისის
სპორტის სასახლე

გაიმართება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, გდრ-ის, ირანის, იუგოსლავიის, პოლონეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და სსრ კავშირის ათლეტები.

დასაწყისი: 24-ში — 12 და 18 საათზე; 25-26-ში — 11 და 18 საათზე.

ИНДЕКС 66148 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 6 უე 00576